კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.abkhazia.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 02 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
www.abkhazia.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
57.89%
74.09%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
42.86%
41.39%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40.00%
31.75%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
15.38%
56.25%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
21.74%
28.80%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7.69%
50.00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
42.86%
16.00%
0.00%
20.00%
40.00%
60.00%
80.00%

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა და იმ ორგანოზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მთავრობის თავმჯდომარეს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო:



აფხაზეთის მთავრობა | მთავრობის აპარატი | კანონმდებლობა | სიახლეები | ბმულები | კონტაქტი

აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე

გიორგი ბარამია

დაბადების თარიღი, ადგილი:

1966 წლის 25 თებერვალი, ქ.სოხუმი;

განათლება:

1982 - დაამთავრა ქ.სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა;

1987- დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აგრომელიორაციის სპეციალობით;

1988-1991 წწ. სწავლობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან არსებული ასპირანტურის განყოფილებაში. მუშაობდა სადისერტაციო თემაზე, აგროქიმიის განხრით;

2005 - დაამთავრა საქართველოს შრომის და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო -სასწავლო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი წარმოების ორგანიზაციის და მართვის სპეციალობით. მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია;

2006 - სწავლობდა გერმანიის ქალაქ გარმიშ- პარტერკირხენში, ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპული უსაფრთხოების ცენტრში;

სამუშაო გამოცდილება:

1988-1991 - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის

- არ მოიძიება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის უმეტესობა მრჩეველთა საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:



მრჩევლები	
ემზარ ზურაბიშვილი	ezurabishvili@abkhazia.gov.ge (+995 32) 2
ვასილ ბაბუნაშვილი	vbabunashvili@abkhazia.gov.ge (+995 32) 2
თეონა ჯანაშია	tjanashia@abkhazia.gov.ge (+995 32) 2 37 58 07
რამინ ბულისკერია	rbuliskeria@abkhazia.gov.ge (+995 32) 2
რაულ ქირია	rkiria@abkhazia.gov.ge (+995 32) 2 37 26 88

- არ მოიძიება აფხაზეთის მთავრობის აპარატის უფროსის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომერი. აგრეთვე, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან აპარატის უფროსს. აფხაზეთის მთავრობის აპარატის მოქმედი დებულების თანახმად აპარატის უფროსს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე:



- ვებ-გვერდის მომხმარებლისათვის საკმაოდ დამაბნეველია ქვე-განყოფილებაში „აპარატის უფროსი“ არსებული სათაური - „მოადგილეები“. აფხაზეთის მთავრობის აპარატის მოქმედი დებულების თანახმად აპარატის უფროსს ჰყავს მხოლოდ ერთი მოადგილე - სასურველია სათაურს გადაერქვას სახელი და ეწოდოს „მოადგილე“. აქვე, სასურველია მოიძიებოდეს აპარატის უფროსის მოადგილის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომერი. აგრეთვე, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან აპარატის უფროსის მოადგილეს. აფხაზეთის მთავრობის აპარატის მოქმედი დებულების თანახმად აპარატის უფროსის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე:



2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, აფხაზეთის მთავრობის აპარატის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება), მითითება იმაზე, რომ განყოფილებაში „კონტაქტი“ მოცემული ტელეფონის ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს,



3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აფხაზეთის მთავრობის აპარატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე არ მოიძიება აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროების, დეპარტამენტების *და ა.შ.* სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები, ფაქსის ნომრები, საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები). ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება აფხაზეთის

მთავრობის აპარატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ისტორია.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აფხაზეთის მთავრობის აპარატის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის აღწერა. ხსენებული ინფორმაცია სასურველია მოიძიებოდეს განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „საქმიანობა“ ან „ფუნქციები“.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აფხაზეთის მთავრობის აპარატის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ, განყოფილებაში „მთავრობის აპარატი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“:



- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე);

- არ მოიძიება მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტში შემავალი ანალიტიკური სამსახურის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია;

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. აფხაზეთის მთავრობის აპარატის მოქმედი დებულების თანახმად აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე;

- არ მოძიება აპარატის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოადგილეთა ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომრები:



7. როგორც სატელეფონო კავშირისას გაირკვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან არსებობს სათათბირო ორგანო - მუდმივმოქმედი კომისია სამთავრობო ურთიერთობების კუთხით. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ხსენებული სათათბირო ორგანოს შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოძიება სათათბირო ორგანოს დასახელება;
- არ მოძიება სათათბირო ორგანოს ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, აგრეთვე, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- არ მოძიება სათათბირო ორგანოს სტრუქტურისა და შემადგენლობის აღწერა;
- არ მოძიება სათათბირო ორგანოს ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზეთის მთავრობის აპარატის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, რიგი ფინანსური ხასიათის მაჩვენებლებისა *და ა.შ.*

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს აფხაზეთის ბიუჯეტის პროექტი და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების მიერ შემუშავებული შესაბამისი პროგრამები.

9. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი:

➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აფხაზეთის მთავრობის აპარატის უფროსის მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება აფხაზეთის მთავრობის აპარატის უფროსის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში:



11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზეთის მთავრობის აპარატის საქმიანობის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშები და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში „ანგარიშები“.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი

მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ მთავრობის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

13. ვებ-გვერდზე არ მოიძიება უშუალოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

14. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა" და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან", სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

15. ვებ-გვერდზე არ მოიძიება არანაირი ინფორმაცია სტაჟირებების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსებისის შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში „ტრენინგები".

16. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-) განყოფილება - ,,პროგრამები/პროექტები", რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.

17. სასურველია ვებ-გვერდზე მომხმარებელთათვის დამატებით არსებობდეს ინფორმაცია სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებათა მიღების წესი და იმ სასამართლო საქმეთა მიმოხილვა, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

18. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებას სათაურად „კანონმდებლობა" სასურველია გადაერქვას სახელი და ეწოდოს „სამართლებრივი აქტები". სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად განთავსდეს მთავრობის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებები და საშტატო რიცხოვნობა, აპარატის უფროსის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები - ბრძანებები, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული აფხაზეთის მთავრობის აპარატში სტაჟირების გავლის წესი და პირობები, აფხაზეთის მთავრობის დადგენილების, განკარგულების, მთავრობის თავმჯდომარისა და

მთავრობის აპარატის უფროსის ბრძანების პროექტები და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონისა და კანონის პროექტები.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ";
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ";
- შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ამასთან, ვებ-გვერდზე განთავსებული შემდეგი სამართლებრივი აქტები მოცემულია ძველი მდგომარეობით:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";
- საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ";
- აფხაზეთის მთავრობის აპარატის დებულება.

სამართლებრივი აქტების ვებ-გვერდზე მიმოფანტვის თავიდან აცილების მიზნით განყოფილება (ბანერი) სათაურად „სამართლებრივი რესურსები" სასურველია გაერთიანდეს განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები":





- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა აფხაზეთის მთავრობის აპარატში მიღების წესის აღწერა.

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო

ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და აპარატში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

21. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა აფხაზეთის მთავრობის აპარატსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, აპარატსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

22. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება აფხაზეთის მთავრობის აპარატის სასარგებლოდ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, აპარატის სასარგებლოდ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

23. ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება „ვაკანსიები“, იუწყება რომ „ამჟამად აფხაზეთის ა/რ მთავრობაში ვაკანსია არ არის“. სასურველია მოცემულ განყოფილებაში მოყვანილ იქნეს აფხაზეთის ა/რ მთავრობაში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (მთავრობის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.* :



- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

24. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ უახლესი ინფორმაცია (2012 წლის მდგომარეობით);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის*

სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/afxazetis_mtavroba__xelfasi.pdf);

- არ მოიძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს მთავრობა;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა:



ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ განყოფილებაში („ფინანსები“, „ხარჯთაღრიცხვა“, „ბიუჯეტი“ *და მისთ.*)

ყველა ზემოთ მოყვანილ რეკომენდაციებთან ერთად, სასურველია არსებობდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდის აფხაზურენოვანი ვერსიაც:

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88.89%
2. ძიება
60.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
68.75%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
75.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40.00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
80.00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
42.86%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
9.09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
33.33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50.00%
0
0.2
0.4
0.6
0.8
1

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის სიახლეების თარიღის მიხედვით ძიების მოდული დასახვეწია, რადგან თვის შეცვლასთან ერთად ვებ-გვერდი ხელახლა იტვირთება, შესაბამისად მოქმედება ნელდება და რთული ხდება ნავიგაცია.

მაგალითად თუ ამჟამინდელი თვე არის მარტი:



და გვსურს აპრილის თვის არჩევა, თვის დასახელების მარჯვნივ მდგომ ღილაკზე დაჭერით გვხვდება შემდეგი გვერდი:



ძიების მოდული ფაქტიურად აღარ ჩანს, თუ არ გამოვიყენებთ “Scroll”-ს.

➢ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ზოგიერთ ატვირთულ ფაილში გამოყენებულია სპეციფიკური ფონტი, რომელიც ყველა ოპერაციულ სისტემას როგორც წესი არ მოყვება. მაგ:

ÃÀÍÉÓÀÆÙÀÒÏÓ À×áÀÆÃÈÉÓ ÀÃÓÏÍÏÌÉÖÒÉ ÒÃÓÐÖÀËÉÉÉÓ ÒÃÓÐÖÀËÉÉÖÒÉ ÁÉÖãÃÖÉÓ áÀÒãÃÁÉ 11251700 ËÀÒÉÓ ÏÃÃÍÏÁÉÈ, ÈÀÍÃÀÒÈÖËÉ ÒÃÃÀØÝÉÉÈ:

ËÀÒÉ

ÃÀÓÀáÃËÃÁÀ	2009 ßËÉÓ ×ÀØÔÉ	2010 ßËÉÓ ÂÃÂÌÀ	2011 ßËÉÓ ÂÃÂÌÀ	Ì.Û. ÈÒÃÃÉ-ÔÃÁÉ ÃÀ ÂÒÀÍÔÃÁÉ
áÀÒãÃÁÉ	12210422	11890020	11251700	0
ÜÒÏÌÉÓ ÁÍÀÆÙÀÖÒÃÁÀ	7336232	7389342	6922788	0
ÓÀØÏÍÃËÉ ÃÀ ÌÏÌÓáÖÒÃÁÀ	2248929	1995136	1840797	0
ÓÖÁÓÉÃÉÃÁÉ	2157965	1998531	1802855	0
ÃÒÀÍÔÃÁÉ	0	0	0	0
ÓÏÝÉÀËÖÒÉ ÖÆÒÖÍÃÃËÙÏ ×À	467296	284011	480110	0
ÓáÂÀ áÀÒãÃÁÉ	0	223000	205150	0

À×áÀÆÃÈÉÓ ÀÃÓÏÍÏÌÉÖÒÉ ÒÃÓÐÖÀËÉÉÉÓ ÒÃÓÐÖÀËÉÉÖÒÉ ÁÉÖãÃÖÉÓ áÀÒãÃÁÉ ÏÒÂÀÍÉÆÀÝÉÓËÉ ãÒÉËÙÉ

ËÀÒÉ

					Ì.Û.

➢ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმაში, ტექსტის ჩასაწერ ველში ავტომატურად უნდა იყოს შესაძლებელი ქართული ფონტის გამოყენება. ამ შემთხვევაში აღნიშნული პარამეტრი არ არის გათვალისწინებული, მაგ:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის RSS მოდულს არ აქვს RSS-ის ფორმატი. მაგ:



ვებ-გვერდს აქვს ბეჭდვის ფუნქცია, თუმცა არ გააჩნია საბეჭდი ვერსია. მაგ:



საბეჭდი ვერსი არის გვერდი, სადაც ინფორმაცია იტვირთება დიზაინის გარეშე.

ბრაუზერ „Opera“-ში ვებ-გვერდი გამართულად არ იტვირთება. მაგალითად ძიების მოდული:



სხვა ბრაუზერებში აღნიშნული მოდული გამართულად იტვირთება. მაგ:

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდზე Twitter-ის ღილაკი უფუნქციოდ დევს, საჯარო დაწესებულებას არ გააჩნია ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელ Twitter-ში. ღილაკი:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდს HTTPS პროტოკოლის მხადაჭერა არ გააჩნია, აღნიშნულ პროტოკოლზე სატესტო გვერდია ატვირთული:

ვებ-გვერდის საქაღალდეები („Folder“-ები) დაუცველია, ანუ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია საქაღალდეების ღია ფორმატით ნახვა. მაგ:



ვებ-გვერდის ყველა საქაღალდე უნდა იყოს დაცული სერვერის კონფიგურაციის მეშვეობით;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე არსებული მოდულები და სერვისები დასახვეწია. ასევე თუ გავითვალისწინებთ საჯარო დაწესებულების სპეციფიკას, არსებობს იმის პოტენციალი, რომ ვებ-გვერდზე დაინერგოს მეტად სასარგებლო ონლაინ სერვისები. ვებ-გვერდს მცირე ხარვეზები აქვს უსაფრთხოების კუთხით, რომელიც სასურველია მოკლე დროში გამოსწორდეს.

ზოგადად ვებ-გვერდზე განსავითარებელი და დასახვეწია კონტენტის ხელმისაწვდომობის დეტალები, გასაუმჯობესებელი აქვს სოციაურ ქსელებთან ინტეგრაცია და დასანერგი აქვს ელექტრონული ჩართულობის სხვადასხვა მოდულები.